დამტკიცებულია

შპს ,,პროფიუნიტის“ დირექტორის

2020 წლის 01 სექტემბერი #28/20 ბრძანებით.

ცვლილება:

შპს ,,პროფიუნიტის“ დირექტორის

2025 წლის --13-- --ივნისი-- #35/25 ბრძანებით

შპს ,,პროფიუნიტი“

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

2025 წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. შპს „პროფიუნიტი“ (შემდგომში კოლეჯი) კოლეჯის ინტერესების გათვალისწინებით მისი ცნობადობის ხარისხის ამაღლების მიზნით გეგმავს და ორგანიზებას უწევს ცნობადობის ამაღლების სხვადასხვა სახის ხელშემწყობ აქტივობებს;

2. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდაზე;

3. კოლეჯი მუდმივად ანახლებს ინფორმაციას ოფიცილურ ვებ.გვერდზე www.profiuniti.ge და ფეისბუქ გვერდზე;

მუხლი 2. საზოგადოებასთან ურთიერთობის განხორციელება

1. კოლეჯი თავის საქმიანობის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:
   - კოლეჯის სახელით ავრცელებს ოფიციალურ მიმართვებსა და განცხადებებს;
   - ხელს უწყობს პროფესიული პროგრამების პოპულარიზებას;
   - აორგანიზებს საგანმანათლებლო/შემეცნებით შეხვედრებს;
   - გეგმავს შემოქმედებით და ექსტრაკურიკულურ აქტივობებს;
   - მართავს კოლეჯის ვებგვერდს;
   - მართავს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდს;
   - აწყობს სემინარებს და სხვა ღონისძიებებს კოლეჯის საჭიროების შესაბამისად;
   - საჭიროების შემთხვევაში ამზადებას სარეკლამო მასალებს;
   - ხელს უწყობს აპლიკანტების/მსმენელების/თანამშრომლების ინფორმირებას;
   - ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს კომპანიის წარმომადგენლებთან, მოიძიებს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ კომპანიებს და აფორმებს მათთან ხელშეკრულებებს/თანამშრომლობის მემორანდუმებს;
   - ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა /პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებას, მათ დამსაქმებლებთან დაკავშირებას;
   - ინფორმაციის გავრცელებისას იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
2. აღნიშნული აქტივობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში დანიშნულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს დირექტორის გადაწყვეტილებით ასრულებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კოლეჯის

რომელიმე თანამშრომელი;

4. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის ფუნქციები გაწერილია სამუშაო აღწერილობაში და სპეციალისტთან გაფორმებულ შესაბამის შრომით კონტრაქტში;
5. ყველა აქტივობის ამსახველ ფოტო და ვიდეო მასალას საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი განათავსებს კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე სასწავლებლის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
6. ფოტო და ვიდეო მასალის საჯაროდ განთავსება ხდება შესაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ;

მუხლი 3. ვიზიტორებთან კომუნიკაცია

1. კოლეჯის ვიზიტორებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ზრუნავს კოლეჯის ყველა თანამშრომელი, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახდენენ ვიზიტორისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას;

2. ვიზიტორებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი;

3. კოლეჯის საკონტაქტო ტელეფონის ნომერია (0479) 25 19 60, ან 557 65 52 38/

მუხლი 3. ვებგვერდი და სოციალური ქსელები

1. კოლეჯი საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის გაზიარების მიზნით მუდმივად იყენებს კოლეჯის ვებგვერდს www.profiuniti.ge ელექტრონულ ფოსტას - profiuniti@gmail.com და ფეისბუქ გვერდს.
2. ვებ გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებს და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღებას.
3. ვებ გვერდი და სოციალური ქსელი წარმოადგენს კოლეჯის შესახებ ინფორმაციის მასობრივი გავრცელების მთავარ საშუალებას, სადაც წარმოდგენილია საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი ინფორმაცია და სიახლეები, მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები.
4. ვებ გვერდზე განსათავსებელად საჭირო ინფორმაცია ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლ პირს - საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს - მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

მუხლი 4. უკუკავშირის შედეგები და ანალიზი

1. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება პრიორიტეტულია მისი მოლოდინების ეფექტური დაკმაყოფილებისთვის;
2. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
3. კოლეჯში საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ზრუნვის პროცესში გაცნობიერებულია უკუკავშირის დადებითი ეფექტები;
4. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის;
5. ანალიზს წარმართავს დირექტორის მოადგილე თანამშრომლების ჩართულობით

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“ - ს დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).